ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# გადაწყვეტილება №7672778

ნომერი: AR11099023

თარიღი : 07.07.2025

გაცემის თარიღი : 21.10.2025

გაცნობის თარიღი : 22.10.2025

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ნადირა ხოშარაულის ქუჩა, N 8/ალექსი გოგოლაურის ქუჩა, N 25;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ანა ბიბილაშვილი პ/ნ 01001078900
- თბილისი, გლდანი, ტიხონოვის 8

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, ცეცხლმედეგი გამმიჯნავის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის, მოწყობა ან დემონტაჟი

რეკონსტრუქცია

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

# გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი-დიდუბე, ქუჩა ხოშარაული, N 28, (ნაკვეთი N8/20)-ში, კერძო საკუთრებაში არსებული ფართის გამიჯვნას სამ ნაწილად, ცეცხლმედეგი გამმიჯნავებისა და კარის ღიობების მოწყობას, ასევე კიბის დემონტაჟსა და ფილის მოწყობას.
პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება პირველი კლასის ობიექტს და გაცნობებთ, რომ სამსახურმა შეამოწმა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაციის (საკადასტრო კოდი N 01.13.05.008.020.01.01.166, ამონაწერი საჯარო რეესტრიდან N 882022130592 23/02/2022წ; ანაზომი და საპროექტო გეგმები; სართულების არსებული გეგმა საპროექტო არეალის მონიშვნით; კონსტრუქციული საექსპერტო დასკვნა; ) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ეთანხმება ქ. თბილისში, სექტორი-დიდუბე, ქუჩა ხოშარაული, N 28, (ნაკვეთი N8/20)-ში, კერძო საკუთრებაში არსებული ფართის გამიჯვნას სამ ნაწილად, ცეცხლმედეგი გამმიჯნავებისა და კარის ღიობების მოწყობას, ასევე კიბის დემონტაჟისა და ფილის მოწყობის შესაძლებლობას.
გაითვალისწინეთ, მშენებლობის შეტყობინების მოქმედების ვადაა ამ შეტყობინების ჩაბარებიდან (ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემიდან)1 წელი.

---

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.